ხელშეკრულება №73
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - გენადი ბალანჩივაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის - მამუკა შავგულიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.„მიმწოდებელი“–პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კუთვნილი 52 (ორმოცდათორმეტი) ცალი ცეცხლმაქრობის გადამუხტვის მომსახურება (დანართის შესაბამისად);**
2.2. კლასიფიკატორის კოდი: (**CPV50413200**).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1450 (ათას ოთხას ორმოცდაათი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდებს მომსახურებას არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-

ჩაბარების გაფორმების უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს მეოთხე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, მესამე კატეგორიის უმცროს სპეციალისტს - კობა ჯიქიას.

7. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25.

7.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.**

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი (გასაწევი) მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არაასებობის შესახებ

13.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით**.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:

შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“
მის: ქ. ქუთაისი, ტ.ტაბიძის ქ. №29,
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE60BG0000000855036300
ს/კოდი: 412702302
ტელ: (0431) 25-01-00; 555-36-21-96.

მუნიციპალიტეტის მერი

გენადი ბალანჩივაძე

Genadi Balanchivadze
Digitally signed by Genadi Balanchivadze
Date: 2022.04.28 12:49:37 +04'00'

შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“-ს დირექტორი

მამუკა შავგულიძე

Mamuka Shavgulidze
Digitally signed by Mamuka Shavgulidze
Date: 2022.04.28 11:45:29 +04'00'

დანართი

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ცეცხლმაქრობის გადამუხტვა OP-5	ცალი	44	27 , 50	1210
2	ცეცხლმაქრობის გადამუხტვა OP-6	ცალი	8	30	240
	ჯამი				1450 ლარი

შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“